

საქართველოს

იმისთანა წმინდა საძეგლი, ბოლოდღის ბეჭდვითი სილამაზა, ცდუნებით და ჭებრებით ბუთის გაფანა ყველა უკადრისმდებარე უსამაგლესი.

საქართველო
საქართველო

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, **26** თებერვალი, 2010 წელი.

№37 (6403)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

ყველა – მინუს ერთი თუ ერთი – მინუს ყველა?

6

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

თენგიზ სიგუა ხელს პირდაპირ უეპარდნაძეს ადებს

3

ვიკეპლი პრეზიდენტის გარდაცვალების ისტორიის უკუიღვარე

ლეიბორისტები 1921 წელს საქართველოს ოკუპაციაში დიდ ბრიტანეთს ადანაშაულებენ

2

კოგა დავითაშვილი: გარეჩილაკე ყოველთვის არის საქირო დროს საქირო ადგილას

4



მობილურთან ერთად კლიტავს პატაროთ?!

5

ნანა დუვლარიანი: არ მგონია, პოლიტიკური რეაბილიტაცია მჭირდება

3

7 ვინ და რაგოე აუქმებს აჭარაში სასწავლებლებს?

2

„დაღბა დრო ახალი გენერაციის, ახალი თაობის და კალის გაყოფისა ოპოზიციურ არენაზე“

განხილვა


მაჩინილობის ოპოზიციურ ფლანგზე და მით უფრო, საზოგადოებაში რეა-

ადგილობრივ არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება, ოპოზიციის კი ისევ დაქ-

„დაღბა დრო ახალი გენერაციის, ახალი თაობის და ქალის გამოჩენისა ოპოზიციურ არენაზე“

ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, რატომ ქუცმაცდება ოპოზიციის მამის, როცა გაერთიანება ყველაზე მეტად სჭირდება?

მიზეზი მხოლოდ მათია. ყველაფერი უნდა დავაბრუნო დედას. როცა არჩევნებამდე თვე რჩება და ერთი ყველაზე პოპულარული, ყველაზე იმედისმომცემი, ყველაზე რეიტინგული გაერთიანება იშლება, როგორც ამბობენ, კომენტარი უნდა გეცეთ. ესაა ტრაგედია – სხვა სიტყვა ამას არ შეიძლება მოუძებნოთ. როცა მოახლოებული არჩევნების წინ თავიდან იწევა ძველი გაერთიანების დაშლა და ახლის, გაუთვლელი კონფიგურაციის შექმნაზე საუბარი, ეს მტკიცებებს მხოლოდ ჩვენი ოპოზიციის მარტივი ქმედების კოეფიციენტის საშინელ დეფიციტზე და იმაზე, რომ მათ უბრალოდ გაფლანგეს დრო.



ლებდაში მოსვლისთვის. მე, ადამიანი, რომელიც უკვე 30 წელია პოლიტიკას ვსწავლობ, უკვე სერიოზული ეჭვი მეპარება იმაში, რომ საოცრებაც რომ მოხდეს და არსებული ხელისუფლება შეიცვალოს, მის ჩასანაცვლებლად და მიწისტრების სკამებისთვის არსებულ უმცირესობაში ოპო, განხეთქილებები და ა.შ დაინახება. რასაც ჰქვია გუნდი (თუმცა ეს სიტყვა მათ ბოლო წლებში შემაჯავრეს), არაა და ბოლო წლების განმავლობაში არც ყოფილა ოპოზიციის ოპო. როგორ შეიძლება ის, რომ დილას გაერთიანდებიან, შუადღეს კი ირკვევა, რომ თურმე მათ ფუნდამენტურ პრინციპებში სხვადასხვა აზრი აქვთ.

კლასიკური მეთოდებით ბრძოლა ასხენეთ, თქვენი აზრით ქართულ ოპოზიციურ ფლანგზე რომელი ძალები იბრძვიან პოლიტიკის კლასიკური მეთოდების დაცვით?

ყოველ შემთხვევაში ის არა, ვინც ჭკუა-ქუხილს ელოდება. ასეთ ძალებს და პოლიტიკოსს წარმოადგენს არ აქვს პოლიტიკურ ბრძოლაზე ვინც ჭკუა-ქუხილით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, მას პოლიტიკის არაფერი გაეგება და აქედან გამომდინარე, ამ სფეროში მისი დავალი არცაა.

ბოლო დღეებში პოლიტიკურ ფრონტზე ახალი ფორმულა – „ყველას მინუს ერთი“ გამოჩნდა, რაც ფაქტობრივად ალიანსის დაშლის საფუძველი გახდა. ეთანხმებით თუ არა ოპოზიციური სექტორისთვის „ახლებისა“ და რესპუბლიკელების ამ შეთავაზებას?

მე ვეთანხმები ფორმულას, რომელიც გულისხმობს არჩევნებში მონაწილეობას და გამოირჩევა ბარაკ-ობამა, ნგრევას, საკანების ცირკის მოწყობას და შიგ „ბომბების“ შეყრას, გამოირჩევა, თუ გნებავთ, სტადიონზე ეროვნული დროშის შემოსვლით სირბილს და კლოუნადას. „ახლებს“ და რესპუბლიკელებს უფრო ვენდობი. მიმართ, რომ ორივე პარტია რჩება მეტ-ნაკლებად ღირსეულად, თუმცა, სამწუხაროდ, ისინი ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმალეზე.

№ 4 83.

პრიზინა


ლეიბორისტები 1921 წელს სახარტველოს ოკუპაციაში დიდ ბრიტანეთს ადანაშაულებენ

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მორიგი განცხადება გააკეთა, თუმცა მისი განცხადება ამჟამად არა ოპოზიციურ პარტიებს, ხელისუფლებას და არჩევნებს უკავშირდება, არამედ 1921 წლის საქართველოს ოკუპაციას. ლეიბორისტების ლიდერი ფიქრობს, რომ საქართველოს ოკუპაციის 89-ე წლისთავზე, ქვეყნისა და მსოფლიოს გასაგონად, სიმართლედ უნდა ითქვას, ამაზე საუბარს კი ყველა ერიდება. მისი აზრით, საქართველოს გასაბჭოებაში მთავარი დამნაშავე არა რუსეთი, არამედ დიდი ბრიტანეთი იყო, თუმცა ისიც საკითხავია, რატომ ფიქრობს ამას ახლა, 89 წლის შემდეგ? მისი შეფასებით, 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლიოდ ჯორჯის პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ განაპირობა.



რომ დღეს ისტორიული ბედისწერა კვლავ მეორდება: „სწორედ ბრიტანული ნავთობსადენი გახდა ძირეული მიზეზი რუსეთთან ურთიერთობის აფეთქებისა და შემდგომ აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონის ოკუპირებისა, დარჩენილი საქართველო კი, განსაკუთრებით აჭარა, თურქეთის ეკონომიკურ „ვილაეთად“ გადაიქცა. ლეიბორისტები ფიქრობენ, რომ ოკუპაციის უწყვეტი ეპოქიდან ერთადერთი გამოწვევა (როგორც ყოველთვის, მათი აზრი უცვლელია) სააკაშვილის მარიონეტული რეჟიმის მოცილება და ეროვნული ხელისუფლების არჩევაა, რისთვისაც მთელი ერი უნდა დაირაზმოს.

სატია მუსარიძე



დოზა თუ უდოზლობა?

ყველაზე მეტად უზრუნველსებებს სჯერათ?

ბუზინი სასტუმრო „შერატონ მედიის პალასში“ ქართული მედიისადმი საზოგადოების ნდობის საკითხებს მიეძღვნა მრგვალი მაგიდა „ნდობა-უნდობლობა ქართული მედიის მიმართ“, რომელშიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში მედიის, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის როლის გაძლიერება“ ფარგლებში გაიმართა.

მრგვალი მაგიდა მიზნად ისახავდა რეკომენდაციების შემუშავებას, როგორც მედიასაშუალებებისთვის, ასევე შესაბამისი უწყებებისთვის, რათა გაიზარდოს მოსახლეობის ნდობა ქართული მედიის მიმართ. მასში მონაწილეობდნენ: ყურნალისტები, ამ დარგის პროფესორ-მასწავლებლები, მედიის მკვლევარები და მედიარეპორტაჟის განმსახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები.

რესებს წარმოადგენს. „ჩინტენ ჰაუსში“ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში მედიის თავისუფლება. ასევე, ვიმედოვნებთ, რომ „მანუაშვილში“ სათანადო ყურადღებას გამოიჩინებთ ეროვნული უმცირესობების მიმართ, მათ ენაზე მომზადდება გადაცემები, რაც ხელს შეუწყობს უმცირესობის ინტეგრაციას.

მრგვალი მაგიდა მიზნად ისახავდა რეკომენდაციების შემუშავებას, როგორც მედიასაშუალებებისთვის, ასევე შესაბამისი უწყებებისთვის, რათა გაიზარდოს მოსახლეობის ნდობა ქართული მედიის მიმართ. მასში მონაწილეობდნენ: ყურნალისტები, ამ დარგის პროფესორ-მასწავლებლები, მედიის მკვლევარები და მედიარეპორტაჟის განმსახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები.

ქართული ტელევიზიებიდან ყველაზე მეტად ენდობიან: გამოკითხულთა 38 პროცენტი – „იმედს“; 31 – „რუსთავი-2“-ს; 3 პროცენტი – „კავკასიას“; 3 პროცენტი – საზოგადოებრივ მაუწყებელს.

ორიოდ სიტყვა ვასტანგ სე-მახიძის შესახებ. მის მიმართ კერიოზული შეტევა დაიწყო. უზრუნველსების განცხადებით, მასზე ხორციელდებოდა ზენოლა, რაც უზრუნველს მთელ რეჟიმში. მაინტერესებს, დაარღვია თუ არა მან საქართველოს კანონი, თუ დაარღვია, რატომ არ წაუყენეს ბრალი. თუ ასე არ არის, რატომ ფიქრობს, რომ მას არ შეუძლია თავის სამშობლოში მუშაობა? მის მიმართ ბრალდებაები სხვადასხვა სატელევიზიო არხით გაშუქდა. თუ უზრუნველს არ სჯერა, რომ თავად აქვს უფლება, დამოუკიდებლად იმუშაოს და საერთოდ, როგორ შეიძლება მასმედია ენდოს, მამინ რაღაზეა ლაპარაკი?


განსახილველად ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კვლევის შედეგები იყო წარმოდგენილი. შარშან, შემოდგომაზე კავკასიის კვლევითმა ინსტიტუტმა შეკვეთა ჩაატარა, კერძოდ – რას ფიქრობდნენ ყურნალისტებზე და მედიასაშუალებებზე. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ეს ციფრები სტაბილურია და გვეუბნება, რომ მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო ტელევიზიაა. შემდეგ მოდის ყურნალ-გაზეთები. რამდენად ენდობიან ქართველ ყურნალისტებს? აქედან 18 პროცენტი ენდობა, 2 პროცენტი – არა. საშუალო მაჩვენებელი ნდობის 6,95 პროცენტია. უზრუნველსების შემთხვევაში უფრო მაღალია, ვიდრე გაეროს, ევროკავშირის ან ნატოს შემთხვევაში.

უზრუნველსებზე მეტად რესპონდენტები ვის ენდობიან? – სახალხო დამცველს (7.02 პროცენტი), მასწავლებლებს (7.67 პროცენტი), ჯარს (7.84 პროცენტი), ეკლესიას (9.02 პროცენტი). მოსამართლეების მიმართ მინიმალური ნდობა გამოხატეს.

ცვლილებები მასმედიაში ერთ დღეში არ განხორციელდება და მუდმივად გარანტირებული არც იქნება. მედიის თავისუფლება კი მუდმივად არის საჭირო. აქედან გამომდინარე, მასმედია უნდა იტვირთოს მონიტორინგის როლი ნებისმიერ ხელისუფლებასთან მიმართებაში.

კა გაშიანოვა

ვანკუვერი - 2010



ოლიმპიადის ტაბლო

ფრისტაილი. აპროვატიკა. ძალაბი. 1. ლიდია ლასილა (ავსტრალია), 2. ნინა ლი (ჩინეთი), 3. სინსინ გუო (ჩინეთი).

ბობსლეი. წყვილი. ძალაბი. 1. კანადა-1, 2. კანადა-2, 3. აშშ-2.

სკალათონი. ესტაფეტა 3000 მ. ძალაბი. 1. ჩინეთი, 2. კანადა, 3. აშშ.

ციგურაგით რბოლა. 5000 მ. ძალაბი. 1. მარტინა საბლიკოვა (ჩეხეთი), 2. სტეფანი ბეკერტი (გერმანია), 3. კლარა ჰიუზი (კანადა).

თხილაგურაგით რბოლა. ესტაფეტა 4X10 კმ. მამაკაცები. 1. შვედეთი, 2. ნორვეგია, 3. ჩეხეთი.

კანადა - რუსეთი 7:3, აშშ - შვეიცარია 2:0, სლოვაკეთი - შვედეთი 4:3, ფინეთი - ჩეხეთი 2:0.

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: კანადა - სლოვაკეთი, აშშ - ფინეთი.

Table with 5 columns: Country, Gold, Silver, Bronze, Total. Lists medal counts for various countries like USA, Canada, etc.

ფეხბურთი


საზე ასვლა არ უსწავლავია

შოზა მასურინიუმ ჩემპიონთა ლიგა „პორტუს“ მოაგებინა, მაგრამ საფეხბურთო სამყაროს პორტუგალიელი მწვრთნელის ტალანტი ლონდონის „ჩელსში“ მოღვაწეობის შემდეგ აღიარა, რომელიც საათივით გამართულ საფეხბურთო მექანიზმად გამოიქვინა.



მოსულმა „სევილიამ“ მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა ცსკა-სთან - 1:1 (ნეგრედო; გონსალესი) და ორი კვირის შემდეგ წინ, ალბათ, ოფიციალურად გაიფორმებს მორიგი ეტაპის საფეხურს.

კალათბურთი



ბაამტყუნებს ვინაა?

ეპროლიზის II ჯგუფური ეტაპის წრის შემდეგ „ბ“ კვარტეტში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მალაგის „უნიკასას“ ბედს სხვები წყვეტენ, რაშიც დამნაშავენი, უპირველესად, თვითონ ესპანელები არიან, რომლებმაც შინ პოლონურ „პროკომთან“ სასტიკი მარცხი იწვეს.

ჭადრაკი

მატჩი ანანდი-კარლსენი ვიშვანატთან ანანდი მსოფლიო ჩემპიონის წოდების დასაცავად ემზადება. მისი მატჩი პრეტენდენტ ვესელის ტოპალოვთან აპრილში მეტოქის „მოედანზე“, სოფიაში გაიმართება.

მსოფლიო ერთ წელს მანძილზე ჭადრაკში ორი მოდაა ე. წ. „საინტერნეტო შეხვედრებზე“. მასში ხშირად განთქმული დიდოსტატებიც კი მონაწილეობენ, ისეთები, როგორებიც არიან მაგნუს კარსენი ანდა რუსეთის ნაკრების წევრი გრიშჩუკი.

ვანცხადება

2010 წლის 25 მარტს 12 საათზე დედოფლისწყაროს რ-ნი სოფ. ზემო ქედის კულტსახლში გაიმართება მეორე აუქციონი სს კოოპერატივ „ზემო ქედის“ სამეურვეო ქონებასთან დაკავშირებით.

2010 წლის 25 მარტს 12 საათზე დედოფლისწყაროს რ-ნი სოფ. ზემო მახხანის კულტსახლში გაიმართება მეორე აუქციონი სს კოოპერატივ „ფიროსმანი-1“-ის სამეურვეო ქონებასთან დაკავშირებით.


2010 წლის 25 მარტს 12 საათზე დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. ზემო მახხანის კულტსახლში გაიმართება მეორე აუქციონი სს კოოპერატივ „თელანწყის“ სამეურვეო ქონებასთან დაკავშირებით.

2010 წლის 25 მარტს 12 საათზე დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. ზემო მახხანის კულტსახლში გაიმართება მეორე აუქციონი სს „ზემო მახხანის“ სამეურვეო ქონებასთან დაკავშირებით.

ინტერნეტიდან

სახიფათო რბოლები არიზონაში

აშშ-ის არიზონას შტატის ინდიელთა რეზერვაცია ჯილა რევერში სწრაფი რბოლის დროს დაიღუპა მაყურებელი ქალი. პირველ რაუნდში ერთ-ერთი მანქანა გადაბრუნდა და ცეცხლი წაუკიდა.



„სწრაფი რბოლების ყველა ასოციაცია წუხს მომხდარი ინციდენტის გამო და გულთადად სამძიმარს უცხადებს დაღუპულის ოჯახს! - ნათქვამია სამგლოვიარო განცხადებაში.

ჭადოქრების დახმარებით

ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე აფრიკის ქვეყნების ნაკრებებს უფლება ეძლევათ, დასახმარებლად მიმართონ ჯადოქრებსა და ექიმბაზებს, ტრადიციული მედიცინის მეთოდებს რომ ეყენებენ.

ტებიდან: „ბაფანა ბაფანას“ ექიმის განცხადებით, განაში არის ისეთი მცენარე, საიდანაც ღებულობენ სტერეოიდების მსგავს ნივთიერებებს, რომელიც არ შედის აკრძალული ნივთიერებების სიაში და პრაქტიკულად არცა ჩანს დიპინგანალიზების დროს.

დამარცხებისთვის გააშიშვლეს

ერთ-ერთი დანიურ გამოცემაში გამოქვეყნდა გაშიშვლებული კერლინგისტი ქალის ფოტოსურათი. ის ახლა ვანკუვერში იცავს ამ ქვეყნის ღირსებას.

ელექტრონულ მასმედიაში ნათქვამია, რომ ისინი სისტემატურად ღებულობენ თავიანთი მკითხველების კორექსიონდების კორექსიონდების, ხშირად უყურადღებოდ რომ რჩება. მაგრამ ერთმა წერილმა მაინც დააინტერესა ისინი.



გზნარენ

„ნიანვის“ ლიბირი მოკვენსუხა...

პატივცემულ რედაქცია, გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით მოგვცეთ საშუალება, რომ აზრი გამოვთქვათ ერთ საკითხზე: რატომ აღარ გამოდის ფართო მკითხველისთვის ესოდენ საყვარელი სატირული-იუმორისტული ჟურნალი „ნიანვი“? მის მნიშვნელობაზე არ ვილაპარაკებთ, ეს ყველასთვის ცხადია. იქნებ გამოგვეხმარონ ჟურნალისტები და, საერთოდ, დაინტერესებულნი პირები!

ამ საქმის გასაცოცხლებლად სანყისი ღონისძიებები, ალბათ, გარკვეულ სახსრებსაც მოითხოვს, და იქნებ მიზანშეწონილი გახდეს, თუნდაც, დროებითი, სპეციალური ფონდის შექმნა. ჩვენ და ჩვენი მეგობრები ამისთვის მზად ვართ.

მხოლოდ ოხი შენიშვნა

რუსთაველის პროსპექტი დაიხვეწა და კიდევ უფრო გალამაზდა. ეს ფაქტია, მაგრამ, რა დააშავა 16 ნომერში განთავსებულმა მხატვართა ნამუშევრების საგამოფენო დარბაზმა, რომლის ადგილზე დღეს „ვითიბი“ ბანკია (ვინ მოთვლის, მერამდენე თბილისში). არ ვიცი, იქნებ სანაცვლოდ გაიხსნა სხვა ადგილას ტოლფასი დარბაზი, მაგრამ მისი არსებობა სწორედ რუსთაველის პროსპექტზე იყო მიზანშეწონილი. აქ ეცნობოდნენ, როგორც ჩვენები, ისე დედაქალაქის სტუმრები თანამედროვე ქართულ, ზოგჯერ კი უცხოეთის ხელოვნებას ნაღვანს. ცუდი იყო? მგონი, არა. ანდა რად მოიშალა ბორჯომის წყლის მალაზია იქვე 18 ნომერში, სადაც ზაფხულის პაპანაქება სიციხეში (სხვათა შორის, ზამთარშიც) ადამიანი წყურვილს იკლავდა მინერალური წყლით.

იქნებ თბილისის მერიამ გამოასწოროს ეს ნაკლოვანება.

ანაკლოტაი

— სიღადრი სიამოვნებით დამყავს აგარაკზე. იგი დახარჯული ბენზინის ფულს მიბრუნებს.
— და სანამ გაგრძელდება ეს „სიამოვნება“?
— მანამ, სანამ ეგონება, რომ ჩემი „უიგული“ ას კილომეტრზე 50 ლიტრ ბენზინს წვავს.

— სხვა ქალი გავიცანი და ცოლს ვცილდე.
— მაშინ ჩვენი საპარაშუტო კლუბიდანაც მოგიწევს წასვლა.
— რა თქმა უნდა. ჩემი ცოლი ხომ პარაშუტების დამკვეცავად მუშაობს.




ზის ტიპი პარკში, ლუდს სვამს და ბუნების სიმშვენიერით ტკებება. უცებ ვილაც ახმახი მიუახლოვდა ნაჯახით ხელში.

დაიჯესტი

კრიმინალი არ სხრებიან

ამერიკის შვერთული შტატების გამოძიებათა ფედერალური ბიუროს მონაცემებით, მიუხედავად პოლიციისა და სპეცსამსახურების თანამშრომელთა ძალისხმევით, ქვეყანაში ყოველ 5 წამში ხდება ბინის ქურდობა. ყოველ 58 წამში — ძარცვა, ყოველ 6 წუთში — გაუპატიურება, ყოველ 24 წუთში — მკვლელობა.

ვითომ ესა თანასწორულებიანობა?



ედვინა სენდისი, უინსტონ ჩერჩილის შვილიშვილი.

ძალთა ბრძოლა მამაკაცებთან თანასწორი უფლებების მოპოვებისთვის ზოგჯერ მეტად უჩვეულო ფორმებს იღებს. მაგალითად, ნიუ-იორკის წმინდა იოანეს ტაძარში მთავარი სამლოცველოს უკან დგას ქრისტეს ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც... ქალის სახითაა ჩამოსხმული. ეს, ალბათ, არ არის გასაკვირი, ვინაიდან მისი ავტორია ქალი, ედვინა სენდისი, უინსტონ ჩერჩილის შვილიშვილი.

კათილსურნალოვანი მიწათი

1195 წელს, აღარკოსის ომში, ბერბერიული დინასტიის აღმოსავლეთის სულთანმა იაკუბ-ელ-მანსურმა კასტილიის მეფე ალფონსო VIII დაამარცხა. გამარჯვების აღსანიშნავად სულთანმა აღმოსავლეთის სახელმწიფოს დედაქალაქ მარაკეში მიწათის აგება ბრძანა, თანაც არა ჩვეულებრივის, არამედ ისეთის, რომ არა მარტო თვალათვის, არამედ ყნოსთვისაც საამო ყოფილიყო.

ამუშაოდ კი მიწათი კუთვნი მაროკოს ქალაქ მარაკეში ერთ-ერთ ღრუს შესანიშნავს წარმოადგენს, რომელიც ისევე როგორც ქველად, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებელთა, ასევე ჩასულ სტუმართა თვალსაც ახარებს და ყნოსვასაც ააშებს, რადგან მის აგებისას ხურობებმა არა მარტო ალგებრა და გეომეტრია გამოიყენეს, არამედ ქვების შემადლებებელ ხსნარში მუშკის სოლიდურ ულფებს უმატებდნენ. მას შემდეგ რვა საუკუნეზე მეტი გავიდა, მუშკის სურნელებმა კი ჯერაც არ გასულა.

„ჯაჷი“ თუ „გარდასახვა“

ინდოეთის ქალაქ სამბალპურისგან ოცდაათიოდე კილომეტრის მოშორებით, ტყიანი ბორცვების ძირში, ვილაცამ ქვის ნაპრალებიდან მზეზე გასათბობად ამოსული რამდენიმე კობრა შეინშა. სულ მალე ამ ადგილის მახლობლად ათასობით მომლოცველმა დაიწყო შეგროვება, რომლებსაც მაინათ, რომ აქაური კობრები ღმერთების შივსა და მისი მუდლის პარვატის გარდასახვას წარმოადგენენ.

მომლოცველები კი განსაკუთრებით გააოცა მეტად უჩვეულო გარემოება — კობრებს თან მუდამ ახლდა უამრავი ხვლიკი და ბაყაყი, რომლებითაც გველები, ჩვეულებრივ, იკვებებიან.

დღის კალენდარი

26 თებერვალი

დღის კალენდარი. ღრისისა მარტინიანე პალესტინელისა (V); ღრისისა ევლოგისა, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა (607); ღრისისა სტეფანესი, ბერობაში სვიმონისა, სერბეთის მეფისა, მირონმდინარისა (1200); მოციქულთა და მონამეთა; აკვილასი და პრისკილასი (41-51); წმიდათა მონამეთა მამისა და ძისა, ჯვარცმით აღსრულებულთა.

სხენება ღრისი მამისა მარტინიანესი (დაახლ. 422); ღრისთა: ზოია და ფოტინესი (V); ევლოგი ალექსანდრიელ ეპისკოპოსისა (607-608); სვიმონ სერბეთის მეფისა, მირონმდინარისა (1200).

დაიბადნენ:

- 1802 — ვიქტორ ჰიუგო, ფრანგი მწერალი, პოეტი და დრამატურგი. გარდაიცვალა 1885 წელს.
1829 — ლევი შტრაუსი, ამერიკელი, „ბლუ ჯინსის“ შემქმნელი. გარდაიცვალა 1902 წელს.
1859 — ნატო გაბუნია-ცაგარელი, მსახიობი, მომღერალი. გარდაიცვალა 1910 წელს.
1872 — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, მეცნიერი, იურისტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1935 წელს.
1887 — აკაკი შანიძე, აკადემიკოსი, ენათმეცნიერი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი მესაფუძველვე. გარდაიცვალა 1987 წელს.

გარდაიცვალნენ:

- 1861 — ტარას შევჩენკო, უკრაინელი პოეტი.
1971 — ფერნანდელი, ფრანგი მსახიობი.
1969 — კარლ იასპერსი, გერმანელი ფილოსოფოსი-ეგზისტენციალისტი.

მოვლენები:

- 1719 წელი — პეტრე I-ის ბრძანებით პეტერბურგში დაფუძნდა კუნსტაკამერა — პირველი მუზეუმი რუსეთში.
1832 წელი — პოლონეთის კონსტიტუცია შეიქმნა „შეზღუდული“ სტატუსით. პოლონეთი რუსეთის იმპერიის შემადგენელი წილი გახდა ადმინისტრაციული ავტონომიით.
1936 წელი — გერმანიაში გამოუშვეს პირველი „ფოლკსვაგენი“.
1941 წელი — დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.


ღრისსახსოვარი დღე:

კუპეიტი — განთავისუფლების დღე. მემიანისი

ღრისსახსოვარი დღე. კუპეიტი — განთავისუფლების დღე. მემიანისი

ამინდი დღეს. თბილისი. +3 — +12. ქუთაისი. +8 — +17. ბათუმი. +10 — +15. ზუგდიდი. +6 — +14. თელავი. +3 — +12.

კადრი



— აირჩიე, ბიჭო — საფულე ან სიცოცხლე! — საფულე მირჩენია, — ამბობს ტიპი და კათხას მაგიდაზე დგამს. მერე ჯიბიდან ნაგანს იღებს და დასქნს: — შენი სიცოცხლე რა ჭირად მინდა!

სამშობლო მამულისგან დაახლოებით ისევე განსხვავდება, როგორც სიყვარული ცოლქმრული მოვალეობისგან.

მას ყოველთვის ეშინოდა, რომ არ მომკვდარიყო ფილტვების კიბოთი და ღვიძლის ციროზით, ამიტომაც ცხოვრებაში არასოდეს დაუღევია და მოუწევია. იმედოვნებდა, რომ დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებდა... მაგრამ მთვრალმა ხულიგნებმა, რომლებმაც მას ერთხელ, გვიან ღამით, სიგარეტი სთხოვეს, ამის შესახებ არაფერი იცოდნენ...

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA. გ. ახვლედიანის (ყოფილი პაროვსკაიას) ქ. 19. გათვითკაცობა: შპს „თანადგომა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 99-62-77; 899 56-81-86. მასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანაშვილი 899 53-76-16; რუსლან რუსია 899 17-21-21; სპარტაკ შოშულია 899 36-00-35. მასუხისმგებელი მდივანი გიგუა ვაშაქია 879 01-04-77. ინდოქსი 66434. რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.